

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა  
კომისიის სხდომის  
ოქმი N 10

ქ. თელავი

2019 წლის 19, 20, 21 ნოემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ლევან ლილუაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე ვასილ არაბული, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ფიქრია ყურშიტაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის,

განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი რუსუდან ძამუკაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი იოსებ იაგორაშვილი, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლის დირექტორი ქეთევან ნაცარაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი მაყვალა წიკლაური, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის N1 სამუსიკო სკოლის დირექტორი მედეა ავალიშვილი, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“-ს წარმომადგენლები: ფარნაოზ რაინაული, თინათინ მრელაშვილი, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება- თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლის დირექტორი ნუნუ მაისურაძე, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის N2 სამუსიკო სკოლის დირექტორი ირა ლუდუმიძე, ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრა ლუარსაბაშვილი, ამავე სამსახურის მთავარი ბუღალტერი თამარ ჭიჭაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე, ამავე სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი ეკატერინე მიქელაძე, ამავე სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნათია იმერლიშვილი, თელავის კულტურის და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარის დირექტორი გიორგი დალუნდარიძე, თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის

ცენტრის დირექტორი ზაქრო რაზმაძე, თელავის საფეხბურთო სკოლა თელავის დირექტორი ნიკა დავითაშვილი, თელავის სასპორტო გაერთიანების დირექტორი გიორგი სვიმონიშვილი, თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავის დირექტორი პაპუნა ხრიკული, თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავის ბუღალტერი ვალერი ლეკიაშვილი, მოქალაქეები: არჩილ მჭედლიშვილი, მაკა მოსიაშვილი.

### დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ.კოჭლოშვილი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ლევან კოჭლოშვილმა კომისიას გააცნო თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი.

გიგა მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ საბიბლიოთეკო გაერთიანების წიგნადი ფონდის განახლებისათვის გათვალისწინებული თანხა მცირეა და საჭიროა დაემატოს დაფინანსება მინიმუმ სამი ათასი ლარით. კომისიაზე დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა გიგა მამუკელაშვილის მოსაზრებას.

ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია თელავის კულტურის და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარს მიეცეს რეკომენდაცია სახელფასო ფონდის გაზრდასთან დაკავშირებით, რადგან მათთან არიან თანამშრომლები რომელთა სახელფასო სარგოც საარსებო მინიმუმზე ნაკლებს წარმოადგენს.

აგრეთვე მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ სოფელ ნაფარეულში ჩატარდეს 2008 წლის ომში დაღუპულ ზურა ბალაშვილის

ხსოვნისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირი. კომისიაზე დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა თავმჯდომარის მოსაზრებას.

აგრეთვე თელავის საფეხბურთო სკოლა თელავს ესაჭიროება ფიზ მომზადების მწვრთნელი რისთვისაც არ გააჩნიათ საკმარისი თანხები, ასევე ქალაქ თელავში კორტების ტერიტორიაზე სასურველია განთავსდეს მისი მანიშნებელი ბანერი.

თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავის დირექტორმა აღნიშნა, რომ ესაჭიროებათ სპორტ დარბაზში ვიტრაჟი და ტაბლო, რაზეც გიგა ორკოდაშვილმა განუმარტა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი თანხა არ არის საკმარისი შესაძენად. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ვიტრაჟიდან და სხვა ნიუანსებიდან გამომთავისუფლებული თანხა სამოცდარვაათასი ლარი გადაეცეს თელავის საფეხბურთო სკოლას მწვრთნელების ხელფასებისათვის.

გიგა ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით ჭიდაობის წრეზე დადიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ბავშვები, ამიტომ მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს მათი დაფინანსება საწვრთნელ შეკრებებზე გასამგზავრებლად. კომისიაზე დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა გიგა ორკოდაშვილის მოსაზრებას.

გიორგი ქიზიყელაშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ ფშაველსა და სოფელ ლალისყურში სავარჯიშო სპორტული ინვენტარი არის დაზიანებული და ტექნიკურად გაუმართავი რომელიც საჭიროებს განახლებას. სოფელ ლალისყურში კი სასურველია დაინიშნოს მწვრთნელი.

ლევან კოჭლოშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ რიგი მიზეზების გამო დღემდე ვერ ფუნქციონირებს ბუშეტის საბავშვო ბაგა-ბაღი, ხოლო დადებითად შეაფასა ის ფაქტი რომ ბაგა-ბაღის თანამშრომლებს ეზრდებათ ხელფასი.

კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია მიგრანტების პროგრამის ფუნქციონირება ამ ეტაპზე.

ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში 9 აპრილის მოვლენების დროს დაზარალებულებს მუნიციპალიტეტმა გაუწიოს გარკვეული სახის დახმარება.

კომისიის თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, რომ საკმაოდ დიდი თანხებია გამოყოფილი თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის წარმომადგენლობით ხარჯის ნაწილში. საჭიროა თანხის შემცირება ამ მიმართულებით, და ეს თანხები მოხმარდეს მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებებს დაფინანსებას.

კულტურის ცენტრის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 100 000 ( ასიათასი ) ლარი ხმის ჩამწერი სტუდიისათვის აპარატურის შეძენისა და ოთახის რემონტისათვის. კომისიის წევრთა უმრავლესობა არ მიიჩნევს მიზანშეწონილად აღნიშნული თანხა 100 000 ( ასიათასი ) ლარი დაიხარჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ამ პროექტის განსახორციელებლად.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ამ თანხიდან 50 000 ათ. ლარი გამოეყოს ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს აღმზრდელის თანაშემწეების ხელფასის გასაზრდელად.

გადაწყვიტეს:

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვამდე გათვალისწინებულ იქნას სხდომაზე გამოთქმული წინადადებები და მოხდეს შესაბამისი ცვლილებები.

კომისიის თავმჯდომარე:



ლევან კოჭლოშვილი.